

სს „ანა ჯგუფი“

ს.კ. 200 004 057

ფინანსური ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარშო წელი

ზოგადი ინფორმაცია

სს „ანა ჯგუფი“ რეგისტრირებულია საქართველოში და იურიდიული პირის სტატუსს ღებულობს სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის დღიდან. სს „ანა ჯგუფი“ არის მისი წინამორბედის სს „თბილისის გაზის აპარატურის ქარხანა“-ის სამართლებრივი მემკვიდრე. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის თბილისი, ჭყონდიდელის 26.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა არასაცხოვრებელი ფართების გაქირავება. კომპანია

პერიოდულად ახდენს გასაქირავებელი ფართების რეკონსტრუქციას და რემონტს დაქირავებული კომპანიების საშუალებით სანარდო ხელშეკრულებების საფუძველზე ან

საკუთარი ძალებით. კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „ანა ჯგუფი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ORIS“. პროგრამაში უზრუნველყოფილია

ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით.

კომპანიის დამფუძნებელი არის აქციების 100 % წილის მფლობელი. აქციონერთა კრების მიერ არჩეულია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 3 წევრისაგან. საზოგადოების

ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი დავით ცაავა.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია

აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიას აქტივში აქვს წინა წლების დებიტორული დავალიანებები უიმედო ან საექვო ვალების სახით, რომელიც არ აღიარებულა ხარჯად. 2018 წლის ბოლოს კომპანიას არ მოუხდენია დებიტორული დავალიანების გაუფასურებაზე შემოწმება.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით.

სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

2018 წლის შემოსავალი 2 650 971 ლარის ოდენობით მოიცავს ამონაგებს საიჯარო მომსახურებიდან და იჯარის თანმხლები მომსახურებებიდან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა. კომპანიას აქვს სასესხო ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2 212 358 ლარი, რომელიც აღებული იქნა ძირითადი საშუალებების მშენებლობა-რეკონსტრუქციისთვის.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

სს „ანა ჯგუფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

	31. 12. 2018	31. 12. 2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	227 177	149 588
სავაჭრო მოთხოვნები	359 992	360 414
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	440 902	441 206
მარაგები	20 312	20 312
სხვა მიმდინარე აქტივები	10 655	4 520
სხვა არამატერიალური აქტივები	5 331	6 271
ძირითადი საშუალებები	5 062 385	5 327 584
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1 195 446	389 849
სულ აქტივები	7 322 199	6 699 745


ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	(6 138)	72 828
საგადასახადო ვალდებულებები	(110 623)	(49 410)
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2 212 358	2 162 358
სხვა ვალდებულებები	(407 734)	(329 911)
სულ ვალდებულებები	1 687 863	1 855 865

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	659 538	659 538
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4 974 798	4 184 341
სულ საკუთარი კაპიტალი	5 634 336	4 843 879
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7 322 199	6 699 744

ხელმოწერები:

დირექტორი

დავით ცაავა



მთ. ბუღალტერი

ოლღა ადუაშვილი

სს „ანა ჯგუფი“-ს 2018 წლის საქმიანობის
შედეგები


	2018 წელი
ნეტო ამონაგები	
მომსახურების გაწევიდან	2 650 971
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	
საწყისი მარაგები	(20)
საბოლოო მარაგები	20
საერთო მოგება	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(498 120)
ცვეთა და ამორტიზაცია	(323 660)
საპროცენტო ხარჯი :	(259 000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(451 104)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1 531 884)
საოპერაციო მოგება	1 119 087
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(328 630)
მოგება/(ზარალი)	790 457

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	4 843 879
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	790 457
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5 634 336

ხელმოწერები:

დირექტორი

დავით ცაავა



მთ. ბუღალტერი

ოლღა ადუაშვილი

სს“ ანა ჯგუფი“-ს 2018 წლის ფულადი სახსრების
მოძრაობა

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	77 589
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	77 589
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	149 588
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	227 177

ხელისმომწერები:

დირექტორი

დავით ცაავა



მთ. ბუღალტერი

ოლღა ადუაშვილი

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია
დირექტორის მიერ მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი

დავით ცაავა